ოქმი:**ო03.37222721**

თარიღი:**29/09/2022**

ოქმი № 20

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, მ. ვშალომიძე, გ. მდინარაძე, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ტ. აროშიძე, ტ. მგელაძე, ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დაგეგმილი საიჯარო ქირის ამოღების მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ არასასურველი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით- დაგეგმილი 100 ათასი ლარიდან, დღემდე შემოსულია 20 ათასი ლარი. თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, ძირითადად ისაუბრა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნი,თ მუნიციპალიტეტის მერიის დაგეგმილ და განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის გასაუმჯობესებლად შეიმუშაოს კონტროლის სათანადო მექანიზმები, მათ შორის, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ადმინისტრირებისა და ხელშეკრულების დამრღვევი მოიჯარეების მიმართ, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის გასაუმჯობესებლად, შეიმუშაოს კონტროლის სათანადო მექანიზმები, მათ შორის, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ადმინისტრირებისა და ხელშეკრულების დამრღვევი მოიჯარეების მიმართ

კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი